



პროგრამის აღწერილობა

<p>პროგრამის დასახელება (ქართულად და ინგლისურად)</p>	<p>სადოქტორო პროგრამა ევროპისმცოდნეობაში PhD Programme in European Studies</p>
<p>მისანიჭებელი კვალიფიკაცია</p>	<p>ევროპისმცოდნეობის დოქტორი PhD in European Studies</p>
<p>პროგრამის მოცულობა კრედიტებით და მათი განაწილება</p>	<p>55 კრედიტი (სასწავლო კომპონენტი), მათ შორის:</p> <ul style="list-style-type: none"> • 45 კრედიტი სავალდებულო სასწავლო კომპონენტი; • 10 კრედიტი არჩევითი სასწავლო კურსები.
<p>სწავლების ენა</p>	<p>ინგლისური</p>
<p>პროგრამის ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები /კოორდინატორი</p>	<p>სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელები:</p> <ol style="list-style-type: none"> 1. ნათია ლაპიაშვილი, შვეიცარიის ბაზელის უნივერსიტეტის სამართლის დოქტორი, თსუ ევროპული კვლევების ინსტიტუტის ევროკავშირის სამართლის მიმართულების ხელმძღვანელი და მოწვეული პროფესორი, საფრანგეთის გრენობლის უნივერსიტეტის მოწვეული პროფესორი, კავკასიის სამართლის სკოლის ასოცირებული პროფესორი, საქართველოს უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი; 2. ვასილ კაჭარავა, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი; 3. თამაზ ზუბიაშვილი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, თსუ ბიზნესისა და ეკონომიკის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი; 4. დანიელა ურსე, ბუქარესტის უნივერსიტეტის სოციოლოგიის დოქტორი, თსუ ევროპული კვლევების ინსტიტუტის მოწვეული პროფესორი; <p>სადოქტორო პროგრამის ავტორი და კოორდინატორი:</p> <ol style="list-style-type: none"> 1. ნინო ლაპიაშვილი, უნივერსიტეტის ევროპული კვლევების ინსტიტუტის დირექტორი, ბრიტანეთის ედინბურგის უნივერსიტეტის კვლევითი სამაგისტრო პროგრამის მეცნიერებათა მაგისტრი პოლიტილოგიაში, ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტის/ბუდაპეშტი იურიდიული ფაკულტეტის ადამიანის უფლებების სამართლის მაგისტრი, თსუ იურიდიული ფაკულტეტის სამართლის მაგისტრი.
<p>პროგრამაზე დაშვების წინაპირობა</p>	<p>ევროპისმცოდნეობის სადოქტორო პროგრამის სტუდენტი შეიძლება გახდეს მინიმუმ მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი (სამართლის, სოციალური და პოლიტიკის მეცნიერების, ეკონომიკისა და ბიზნესის, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა მაგისტრის აკადემიური ხარისხის მქონე პირები), რომელმაც აგრეთვე წარმატებით უნდა ჩააბაროს ინგლისური ენის გამოცდა C1 დონეზე, ან წარმოადგინოს შესაბამისი ცოდნის დამადასტურებელი სერტიფიკატი, ან მაგისტრის დიპლომი, რომელშიც სწავლების ენად მითითებული იქნება ინგლისური. ჩაბარების მსურველებს, ასევე, მოეთხოვებათ ინგლისურ</p>



	<p>ენაზე შესრულებული კვლევითი პროექტის წარმოდგენა და კომისიის წინაშე გასაუბრება. კვლევითი პროექტი¹ უნდა იყოს 2500-3000 სიტყვა და მოიცავდეს: დისერტაციის სათაურს; კვლევის მიზნებს; კვლევით კითხვას/კითხვებს; ჰიპოთეზას; კვლევის მეთოდოლოგიას; გამოსაყენებელი ლიტერატურის მიმოხილვას.</p> <p>მაგისტრის აკადემიური ხარისხის მქონე უცხოელ სტუდენტებს (ან მოქალაქეობის არმქონე პირებს) უფლება აქვთ ჩააბარონ აღნიშნულ სადოქტორო პროგრამაზე საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პროცედურების სრული დაცვით და პროგრამაზე დაშვების ზემოთ მითითებული წინაპირობების შესრულების საფუძველზე.</p>
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი	<p>ევროპისმცოდნეობის სადოქტორო პროგრამა, ეყრდნობა რა უნივერსიტეტის მისიასა და მიზნებს, ასევე, საქართველო-ევროკავშირის ასოცირების დღის წესრიგით განპირობებული შრომის ბაზრის მოთხოვნებს, ხელმძღვანელობს უნივერსიტეტისა და თსუ ევროპული კვლევების ინსტიტუტის სტრატეგიული გეგმებით, მიზნად ისახავს:</p> <ol style="list-style-type: none">1. ახალი სამეცნიერო ცოდნის გენერირების გზით ევროკავშირის ინტეგრაციის, მისი სამართლებრივი, სოციალურ-პოლიტიკური, ეკონომიკური, ისტორიულ-კულტურული ასპექტების შესახებ კვლევების განვითარებას; ევროკავშირთან დაკავშირებული საკითხების თეორიულ და პრაქტიკულ კვლევას ინტერდისციპლინური მიდგომის გამოყენებით;2. ევროპისმცოდნეობის ანალიტიკოსების მომზადებას, რომლებიც დამოუკიდებლად შეძლებენ ღრმა და ყოვლისმომცველი კვლევებისა და ანალიტიკური საქმიანობის განხორციელებას ევროკავშირთან დაკავშირებით სამართლებრივი, ეკონომიკური, სოციალურ-პოლიტიკური და ისტორიულ-კულტურული გადმოსახედიდან გამომდინარე;3. ევროპული ღირებულებების მატარებელი, პროფესიონალი კადრების მომზადებას, ერთი მხრივ, სხვადასხვა სამთავრობო თუ კერძო სტრუქტურებში, ხოლო მეორე მხრივ, მათი პედაგოგიურ საქმიანობაში ჩართვის მიზნით, რათა მიღებული ცოდნის გადაცემა-გაზიარების გზით კურსდამთავრებულთა ახალმა თაობამ აქტიური წვლილი შეიტანოს

¹კვლევითი პროექტი (Research proposal) არ არის სადისერტაციო ნაშრომის შემადგენელი სამეცნიერო კვლევითი პროექტი, არამედ ერთგვარი სტრუქტურირებული კვლევითი გეგმა, რაც სტუდენტს ეხმარება მომავალში სადისერტაციო ნაშრომის დაწერაში.



	საქართველოს ევროპასთან დაახლოების პროცესში.
სწავლის შედეგები	
ცოდნა და გაცნობიერება	<p>კურსდამთავრებულს შეეძლება:</p> <p>1.1. კრიტიკულად გააანალიზოს ევროკავშირის ეკონომიკური, ფინანსური, სამართლებრივი და პოლიტიკური სტრატეგიები, მათი ხელახალი გააზრებისა და ნაწილობრივი გადაფასების გზით. განსაზღვროს ევროკავშირში მიმდინარე ცვლილებების შესაბამისობა საზოგადოების განვითარების მოთხოვნებთან მიმართებაში;</p> <p>1.2. შექმნას საქმიანობის სფეროს უახლეს მიღწევებზე დამყარებული დარგობრივი ცოდნა ევროკავშირის ეკონომიკური/სამართლებრივი/პოლიტიკური სფეროს ფარგლებში მოძიებული საკვლევო მასალის დამუშავებით, კრიტიკული გააზრებითა და შესაბამისი კვლევის მეთოდების გამოყენებით; მოახდინოს კვლევის თემატიკის იდენტიფიცირება და მისი აქტუალობის დასაბუთება ევროკავშირის ფარგლებში ინსტიტუციონალური, ლეგიტიმაციის, ეკონომიკური ინტეგრაციის, ევროკავშირის სამართლისა და პოლიტიკის, ასევე, საერთაშორისო სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების კუთხით არსებული პრობლემებისა და გამოწვევების გათვალისწინებით.</p>
უნარები	<p>კურსდამთავრებულს შეეძლება:</p> <p>2.1. დამოუკიდებლად დაგეგმოს და განახორციელოს ინოვაციური კვლევა, შესაბამისი კვლევის მეთოდების გამოყენების საფუძველზე, აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით; კვლევის სპეციფიკიდან გამომდინარე, მათ შორის, ევროკავშირის ფარგლებში თანამედროვე მოვლენებთან დაკავშირებული გამოწვევების გათვალისწინებით, შეიმუშავოს ახლებური კვლევითი და ანალიტიკური მეთოდები და მიდგომები;</p> <p>2.2. დაგეგმოს რეფერირებადი პუბლიკაციისთვის შესაბამისი სტანდარტის ნაშრომის შემუშავების სტრატეგია, რომლის საფუძველზე შექმნილი ახალი კვლევითი პროდუქტი აისახება საერთაშორისო რეფერირებად პუბლიკაციებში (მათ შორის, ორენოვან ევროპისმცოდნეობის ქართულ ჟურნალში ISSN 2346-7827);</p> <p>2.3. სასწავლო პროცესში დანერგოს სტუდენტებზე ორიენტირებული სწავლების მთავარი პრინციპები და კომპონენტები; პრაქტიკაში გამოიყენოს სწავლა-სწავლების მეთოდები, მათ შორის, ინოვაციური</p>



	<p>მეთოდები;</p> <p>2.4. დასაბუთებულად, გარკვევით წარმოაჩინოს ევროპისა და ევროკავშირის ისტორიული პროცესების თანამედროვე პროცესებთან შედეგობრივი კავშირი და ჩაერთოს ინგლისურ ენაზე საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებასთან თემატურ პოლემიკაში ევროკავშირის ეკონომიკურ, სამართლებრივ და პოლიტიკურ საკითხებსა და პრობლემებზე, როგორც გლობალურ, ასევე რეგიონულ კონტექსტში.</p>
<p>პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა</p>	<p>კურსდამთავრებულს შეეძლება:</p> <p>3.1. დამოუკიდებლად მიიღოს ევროკავშირის ფარგლებში სამართლებრივ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ ინტეგრაციასთან, ასევე კულტურული მრავალფეროვნებასა და იდენტობასთან დაკავშირებული საკვლევო პრობლემის გადაჭრისათვის სწორი და ეფექტური გადაწყვეტილებები;</p> <p>3.2. დამოუკიდებლობის მაღალი ხარისხის დემონსტრირებით განახორციელოს უახლეს მიღწევებზე დამყარებული კვლევითი პროექტები, ასევე, ღირებულებების დამკვიდრების გზებისა და განვითარებაზე ორიენტირებული ღონისძიებები.</p>
<p>სწავლების მეთოდები</p>	<ul style="list-style-type: none"> • ზეპირი/წერილობითი მეთოდი • დისკუსია/დებატები/ევროკავშირის სიმულაცია • პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება • შერეული სწავლების მეთოდი (Blended learning) • შემთხვევის ანალიზი / დედუქცია / ინდუქცია / სინთეზი / ინტერპრეტაცია • გონებრივი იერიში • ქვიზი • გუნდური მუშაობის მეთოდი • წიგნზე მუშაობის მეთოდი • იმიტირებული სასამართლო პროცესის მონაწილეების ხელმძღვანელობა/დანმარება • დემონსტრირების მეთოდი/პრეზენტაცია • წერითი მუშაობის მეთოდი • თანამედროვე ინტერდისციპლინური კვლევის მეთოდები/კვლევის დიზაინი • ცალკეული სილაბუსებით გათვალისწინებული სხვა მეთოდები. <p>პროფესორი შესაძლოა იყენებდეს ზემოთ ჩამოთვლილ ერთ, რამდენიმე ან ნებისმიერ სხვა მეთოდს, კონკრეტული სასწავლო და/ან კვლევითი ამოცანიდან გამომდინარე.</p>
<p>შეფასების წესი</p>	<p>სასწავლო კომპონენტის შეფასება:</p>



	<p>(A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა;</p> <p>(B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;</p> <p>(C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;</p> <p>(D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;</p> <p>(E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.</p> <p>(F) ორი სახის უარყოფითი შეფასება:</p> <p>(FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;</p> <p>(F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი. საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტში, FX-ის მიღების შემთხვევაში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია დამატებითი გამოცდა დანიშნოს დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში.</p>
დასაქმების სფეროები	<p>ევროპისმცოდნეობის სადოქტორო პროგრამა უზრუნველყოფს ღირებული კომპეტენციების განვითარებას დამოუკიდებელი კვლევის წარმართვისა და სწავლებისთვის, რათა დასაქმება შესაძლებელი იყოს შემდეგ სფეროებში:</p> <ul style="list-style-type: none">• უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები• საჯარო სამსახური• არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციები, ევროპული ინსტიტუტები• პოლიტიკური ორგანიზაციები• კერძო სექტორი• კონსალტინგური ორგანიზაციები• მედია და საინფორმაციო ცენტრები• დოქტორანტურის შემდეგი საფეხური <p>ევროპისმცოდნეობის დოქტორს შესაძლებლობა აქვს გააგრძელოს მაღალი აკადემიური ხარისხის კვლევითი საქმიანობა როგორც საქართველოში, ასევე საზღვარგარეთ.</p>
სწავლის საფასური ქართველი და უცხოელი სტუდენტებისათვის	2250 ლარი (წლიური) - ქართველი სტუდენტებისთვის;



	4500 ლარი (წლიური) - უცხოელი სტუდენტებისთვის.
<p>პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო ადამიანური და მატერიალური რესურსი</p>	<p>მატერიალურ-ტექნიკური ბაზა: სამეცნიერო კვლევის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა: ევროპული კვლევების ინტერდისციპლინურ ინტერფაკულტეტურ ინსტიტუტს აქვს თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი (მათ შორის სამი პროექტორი) და გარემონტებული 252 კვ. მეტრის ფართი, ორი საკლასო ოთახით, საკონფერენციო ოთახით, სამი კაბინეტით ადმინისტრაციული პერსონალისთვის და ბიბლიოთეკით.</p> <p>თსუ ევროპული კვლევების ინსტიტუტის ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის შექმნა თავდაპირველად მოხდა ინსტიტუტის დაარსებისთანავე 2007 წელს, ევროკომისიის TACIS პროგრამის ფარგლებში. მომდევნო ეტაპზე, ბიბლიოთეკა მნიშვნელოვნად განახლდა 2012-2014 წლებში ევროკავშირის მიერ დაფინანსებული ENPI პროგრამის ფარგლებში. ასევე, 2017 წელს განხორციელდა ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის ფუნდამენტური განახლება ევროკავშირის ტემპუსის INOTLES პროექტის ფარგლებში.</p> <p>პროგრამის ინტერდისციპლინური ხასიათიდან გამომდინარე, მისი განხორციელებისას გამოიყენება ასევე იურიდიული, ეკონომიკისა და ბიზნესის, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტების მატერიალური რესურსები. სტუდენტებს შეუზღუდავად მიუწვდებოდათ ხელი თსუ-ში მოქმედ ყველა ელექტრონულ საბიბლიოთეკო ბაზაზე.</p> <p>პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი:</p> <p>სადოქტორო პროგრამაში მონაწილეობენ თსუ პროფესორი, ასოცირებული და ასისტენტ პროფესორები, ასევე თსუ ევროპული კვლევების ინსტიტუტის დოქტორის ხარისხის მქონე მოწვეული აკადემიური პერსონალი.</p>
<p>დამატებითი ინფორმაცია (საჭიროების შემთხვევაში)</p>	<p>დოქტორანტი, რომელიც პროგრამაზე ჩაირიცხება არა დარგობრივი სამაგისტრო ხარისხით (ე.ი. მაგისტრის აკადემიური ხარისხი მინიჭებული არ აქვს ევროპისმცოდნეობაში) უფლება აქვს, მისი კვლევის თემატიკის გათვალისწინებით და სამეცნიერო ხელმძღვანელთან, აგრეთვე, ინსტიტუტის ადმინისტრაციასთან შეთანხმებით, დამატებით დაესწროს ევროპისმცოდნეობის სამაგისტრო პროგრამით გათვალისწინებული შესაბამისი პროფილის სასწავლო კურსებს.</p> <p>დოქტორანტი ვალდებულია, არა მხოლოდ დაესწროს, არამედ აქტიური მონაწილეობა მიიღოს კურსის მსვლელობაში და შეასრულოს კურსით გათვალისწინებული ყველა კომპონენტი (მაგალითად, დისკუსიებში მონაწილეობა, პრეზენტაციის მომზადება და სხვა) გარდა შუალედური და ფინალური გამოცდების ჩაბარებისა. სამაგისტრო დონეზე ლექციებზე დასწრება არ წარმოშობს დოქტორანტისთვის კრედიტის მინიჭების საფუძველს, არ ხდება მისი შეფასება და, შესაბამისად, გავლილი კურსების შესახებ ინფორმაცია არ აისახება დოქტორანტის დიპლომის დანართში.</p>



<p>სტუდენტის დისერტაციის დაცვაზე დაშვების წინაპირობა</p>	<ul style="list-style-type: none">• სასწავლო კომპონენტისათვის განკუთვნილი კრედიტების სრულად ათვისება (55 კრედიტი);• სადისერტაციო თემასთან დაკავშირებული შემდეგი სახის სამი სამეცნიერო პუბლიკაციის გამოქვეყნება - 1. ორენოვანი ევროპისმცოდნეობის ქართული ჟურნალი, 2. რეფერირებადი (Peer-reviewed) სამეცნიერო ორი სტატია ისეთ მაღალრეიტინგულ საერთაშორისო ჟურნალებში (ან საკონფერენციო მასალებში), რომლებსაც აქვთ ISSN კოდი და ჰყავთ საერთაშორისო სარედაქციო საბჭო (ან სამეცნიერო კომიტეტი) და რომლებიც ვრცელდება საერთაშორისო მასშტაბით და არის ღია საერთაშორისო თანამშრომლობისთვის. ამავდროულად, ამ სამი პუბლიკაციიდან ერთი მაინც უნდა იყოს ისეთ საერთაშორისო ჟურნალში (ან საკონფერენციო მასალებში), რომელიც ინდექსირებულია Scopus-ის ან Web of Science-ის ბაზებში.• სამეცნიერო ხელმძღვანელის მიერ დადებითად შეფასებული ორი სამეცნიერო კვლევითი პროექტი (ლიტერატურის მიმოხილვა; მეთოდოლოგიური ჩარჩო).
--	---



სასწავლო გეგმა

ფაკულტეტი: **იურიდიული**

ინსტიტუტი / დეპარტამენტი / კათედრა / მიმართულება: **ევროპული კვლევების ინსტიტუტი**

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება: **ევროპისმცოდნეობა**

სწავლების საფეხური: **დოქტორანტურა**

კრედიტების რაოდენობა: **55 კრედიტი (სასწავლო კომპონენტი); მათ შორის:**

- **45 კრედიტი სავალდებულო**
- **10 კრედიტი არჩევითი სასწავლო კურსები**

საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი / ხელმძღვანელები / კოორდინატორი: **სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელები: ნათია ლაპიაშვილი**, შვეიცარიის ბაზელის უნივერსიტეტის სამართლის დოქტორი, თსუ ევროპული კვლევების ინსტიტუტის ევროკავშირის სამართლის მიმართულების ხელმძღვანელი და მოწვეული პროფესორი, საფრანგეთის გრენობლის უნივერსიტეტის მოწვეული პროფესორი, კავკასიის სამართლის სკოლის ასოცირებული პროფესორი, საქართველოს უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;

ვასილ კაჭარავა, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი;

თამაზ ზუბიაშვილი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, თსუ ბიზნესისა და ეკონომიკის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი;

დანიელა ურსე, ბუქარესტის უნივერსიტეტის სოციოლოგიის დოქტორი, თსუ ევროპული კვლევების ინსტიტუტის მოწვეული პროფესორი;

სადოქტორო პროგრამის კოორდინატორი/ავტორი: ნინო ლაპიაშვილი, უნივერსიტეტის ევროპული კვლევების ინსტიტუტის დირექტორი, ბრიტანეთის ედინბურგის უნივერსიტეტის კვლევითი სამაგისტრო პროგრამის მეცნიერებათა მაგისტრი პოლიტილოგიაში, ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტის/ბუდაპეშტი იურიდიული ფაკულტეტის ადამიანის უფლებების სამართლის მაგისტრი, თსუ იურიდიული ფაკულტეტის სამართლის მაგისტრი.

აკადემიური საბჭოს მიერ სასწავლო პროგრამის დამტკიცების თარიღი, დადგენილების ნომერი: N20/2014, 26/02/2014

სასწავლო პროგრამის ამოქმედების თარიღი (სასწავლო წელი): 2013-2014 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრი

პროგრამის სტრუქტურა (I ვარიანტი)

სასწავლო კურსების / მოდულების ტიპი: საფაკულტეტო / სავალდებულო / არჩევითი												
N	კოდი	სასწავლო კურსის სახელწოდება	ECTS	სტუდენტის საათობრივი დატვირთვა				სასწავლო კურსზე დაშვების წინაპირობა	სწავლების სემესტრი			ლექტორი / ლექტორები
				საკონტაქტო	ღ	ფ	ს		შემოდგომა	ზაფხული		



				ლექცია	სემინარი/ სამუშაო ჯგუფი	პრაქტიკები/ ლაბორატორიული						
		აკადემიური წერა	5	15	30		80	125	წინაპირობის გარეშე	X		
		კვლევის დიზაინი და სოციალური კვლევის მეთოდები	5	15	30		80	125	წინაპირობის გარეშე	X		
		სწავლების მეთოდები	5	15	30		80	125	წინაპირობის გარეშე		X	
		სასემინარო ნაშრომი 1	10		25		225	250		X		
		სასემინარო ნაშრომი 2	10		25		225	250	სასემინარო ნაშრომი 1		X	
		პროფესორის ასისტენტობა ²	10					250	სწავლების მეთოდები;	X	X	

² გულისხმობს შემდეგი კომპონენტის სავალდებულოდ შესრულებას: ევროპის მცოდნეობის სამაგისტრო პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსების „მმართველობა და გადაწყვეტილების მიღების პროცესი ევროკავშირში (ევროპის ინტეგრაციის თეორიები და ევროკავშირის ინსტიტუტები)“, „ევროკავშირის სამართალი“, „ევროკავშირში ინტეგრაციის ეკონომიკა“ და/ან „ევროპის ისტორია“ შესაბამისი პროფესორის დახმარებას, სასწავლო კურსის მსვლელობაში მონაწილეობას მთელი სემესტრის განმავლობაში, პროფესორთან შეთანხმებით, კურსის ფარგლებში კვლევითი პროექტის შემუშავებასა და დაწერას. ასევე, ქვემოთ ჩამოთვლილიდან დამატებით მინიმუმ ერთი კომპონენტის მაინც შესრულებას: ა) თსუ ევროპული კვლევების ინსტიტუტში შექმნილი ინოვაციური სწავლებისა და სწავლის მეთოდების ცენტრის ფარგლებში სპეციალურად დოქტორანტებისთვის ორგანიზებულ სასწავლო ტრენინგ-კურსებში მონაწილეობას და მიღებული შესაბამისი ცოდნის შედეგად სამეცნიერო ხელმძღვანელთან ერთობლივად სილაბუსების შედგენას ან ცალკეული ლექციების მომზადებას; ბ) საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების სტუდენტებისთვის სწავლის ინოვაციური მეთოდების გამოყენებით ვიდეო-ლექციების მომზადებას; გ) სამეცნიერო ხელმძღვანელის მიერ მითითებული სხვა პრაქტიკული კომპონენტის შესრულებას, როგორცაა მაგალითად, საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების სტუდენტების ქვიზების, ესეების, პრეზენტაციების, შუალედური და ფინალური გამოცდების გასწორებაში დახმარება). პროფესორის ასისტენტობის კომპონენტი შესრულებად ჩაითვლება, თუ დოქტორანტი წარმოადგენს სამეცნიერო ხელმძღვანელის მიერ დამოწმებულ სათანადო ფორმით შევსებულ, დეტალურ ანგარიშს.



									აკადემიური წერა; კვლევის დიზაინი და სოციალური კვლევის მეთოდები			
არჩევით კურსები 20 (სტუდენტმა უნდა აირჩიოს 10 კრედიტი)												
		ევროკავშირის სამართალი	5	15	30		80	125		X	X	
		ევროპის ეკონომიკა	5	15	30		80	125		X	X	
		თავისუფალი კრედიტები	5					125		X	X	
		პროფესორის ასისტენტობა	10					250		X	X	

ინსტიტუტის დირექტორის ხელმოწერა _____

პროგრამის ხელმძღვანელის / ხელმძღვანელების / კოორდინატორის ხელმოწერა _____

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ხელმოწერა _____

ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსის ხელმოწერა _____

ფაკულტეტის დეკანის ხელმოწერა _____

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ხელმოწერა _____

თარიღი _____

ფაკულტეტის ბეჭედი

